



დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი (DRI)

DRI საჯარო პოლიტიკის ანალიტიკური ინსტიტუტია, რომლის მიზანია კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების დაცვა, გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული სახელმწიფო მმართველობის დამკვიდრება, ტოლერანტული და თანასწორი საზოგადოების განვითარების ხელშეწყობა. კონფლიქტურ რეგიონებში ადამიანის უფლებების დაცვის, მხარეებს შორის ნდობის აღდგენის და ინტეგრაციის პოლიტიკის პოპულარიზაცია და სახელმწიფოს ევროპული ინტეგრაციის ხელშეწყობა.

აპრილის თვის აქტივობები

ულტრამემარჯვენე ექსტრემიზმი

„კონსერვატიული მოძრაობის“ შესაძლო რუსული კავშირები და დაფინანსების წყაროები.....	2
DRI: 5 ივლისის ძალადობრივი დარბევის ორგანიზატორები დაუსჯელები რჩებიან.....	2
DRI ულტრამემარჯვენე ჯგუფების შეკრებებზე დაკვირვების შედეგებს აქვეყნებს.....	3
DRI სახელმწიფო აუდიტის სამსახურს მორგომიას შემოწირულებით დაინტერესებას სთხოვს.....	3

ადამიანის უფლებები

DRI-ის მიერ წამოწეული პრობლემები აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშში მოხვდა.....	3
---	---

ეროვნული უსაფრთხოება

DRI საპარლამენტო უმრავლესობის საკანონმდებლო ინიციატივას ტოტალური კონტროლის დაკანონების მცდელობად აფასებს.....	4
ე.წ. სტენსილების საქმეზე DRI შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართავს.....	5
DRI-ის კოალიციური საქმიანობა.....	5

„კონსერვატიული მოძრაობის“ შესაძლო რუსული კავშირები და დაფინანსების წყაროები

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი აკვირდება პრორუსული ძალების დაფინანსებასა და მათ შემომწირველებს. ღიად პრორუსული „ალტ-ინფოს“ მიერ პოლიტიკური გაერთიანება „კონსერვატიული მოძრაობის“ დაფუძნების შემდეგ გაჩნდა ეჭვი, რომ ორგანიზაცია დაფინანსებას, სავარაუდოდ, რუსული წყაროებიდან იღებს. ვარაუდს ამყარებს ისიც, რომ პარტიის ლიდერები დიდი ხნის განმავლობაში ასაიდუმლოებდნენ დამფინანსებლების ვინაობას. პარტიის დაფინანსების წყაროების შესახებ საზოგადოებრივი ინტერესი გააღრმავა კონსტანტინე მორგოშიას განცხადებამ რუსეთში მოლაპარაკებებზე წასვლისა და ფინანსური რესურსის პოსტსაბჭოთა ქვეყნებში მცხოვრები პირებისგან მიღების შესახებ. არსებული ეჭვები გააღრმავა ასევე „ფლანგვის დეტექტორის“ განცხადებამ, რომ კონსერვატიული მოძრაობის ოფიციალური ვებგვერდის ჰოსტინგი რუსეთში მდებარეობს.

ოფიციალური მონაცემებით „კონსერვატიული მოძრაობის“ შემოწირულება 2022 წლის 26 მარტის ჩათვლით 94.035 ლარია. ზეზვა ჩანქსელიანი პარტიის ყველაზე მსხვილი შემომწირველია. მან 10 მარტს პარტიას 8000 ლარი [შესწირა](#). ზეზვა ჩანქსელიანის სახელზეა [გაფორმებული](#) არაერთი კომპანია. მათი დეტალური შემოწმების შედეგად ყურადღებას იპყრობს შპს „მშენებელი 2006“. ეს კომპანია „ქართული ოცნების“ ცაგერის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის, გია გაზდელიანის სახელს უკავშირდება. იგი იკავებდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პოსტსაც. 2016 წლის არჩევნების წინ, გაზდელიანმა კომპანია ჯერ სამსონ ფირცხალავას გადაუფორმა უსასყიდლოდ, შემდეგ კი ალუდა ჩანქსელიანს. დღეს კომპანიის მმართველია ალუდას ძმა, ზეზვა ჩანქსელიანი.

DRI: 5 ივლისის ძალადობრივი დარბევის ორგანიზატორები დაუსჯელები რჩებიან

4 აპრილს, თბილისის საქალაქო სასამართლოში 5 ივლისის მოვლენებზე მიმდინარე ხუთი საქმიდან სამ საქმეზე განაჩენი გამოცხადდა. სასამართლომ დამნაშავედ ცნო ყველა ბრალდებული. უშანგი დათუნაშვილის გარდა, ყველა მათგანს სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

მიუხედავად იმისა, რომ მოსამართლე ნინო ელიეშვილმა ლექსო ლაშქარავას და მირანდა ბალათურას ეპიზოდზე ექვსი პირი დამნაშავედ ცნო ორგანიზებულ ჯგუფურ დანაშაულში მონაწილეობაში, 2022 წლის მარტის მდგომარეობით, 5 ივლისის წინასწარ ორგანიზებული, სიძულვილით მოტივირებული ჯგუფური ძალადობის არცერთი ორგანიზატორი არ არის დაკავებული. დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის დამკვირვებლის შეფასებით, სასამართლო სხდომებზე მტკიცებულებების გამოკვლევის ეტაპზე ორგანიზატორების სისხლისსამართლებრივ ბრალეულობაზე არაერთი მტკიცებულება მიუთითებდა.

DRI ულტრამემარჯვენე ჯგუფების შეკრებებზე დაკვირვების შედეგებს აქვეყნებს

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი 2020 წლიდან აკვირდება ულტრამემარჯვენე რადიკალური ჯგუფების აქტიურობას აქციებსა და მანიფესტაციებზე. გამოქვეყნებული [ანგარიში](#) მოიცავს ულტრამემარჯვენე ჯგუფების შეკრება-მანიფესტაციებზე დაკვირვების შედეგებს 2021 წლის სექტემბრიდან 2021 წლის დეკემბრის ჩათვლით. საერთო ჯამში, გაანალიზებულია 12 შეკრებაზე დაკვირვების პროცესში გამოვლენილი ტენდენციები და ძირითადი მიგნებები.

2021 წელს გამოიკვეთა ანტილიბერალური და ანტიდასავლური ულტრამემარჯვენე ძალების პოლიტიკურ სუბიექტებად ტრანსფორმაციის ტენდენცია; ულტრამემარჯვენე ექსტრემისტული ჯგუფების შეკრება-მანიფესტაციებს სისტემატურობა და დისციპლინა ახასიათებს; ანტილიბერალური და ანტიდასავლური ულტრამემარჯვენე ჯგუფების ორგანიზატორები მოქმედი ხელისუფლების ხისტი ოპონენტები არ არიან; ულტრამემარჯვენე ჯგუფების მიერ ორგანიზებულ საპროტესტო აქციებზე შესამჩნევია სამართალდამცავებსა და ორგანიზატორებს შორის კოორდინირებული მოქმედება, ფამილიარული კომუნიკაცია და პოზიტიური ურთიერთკავშირი.

DRI სახელმწიფო აუდიტის სამსახურს მორგოშიას შემოწირულებით დაინტერესებს სთხოვს

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტმა აუდიტის სამსახურს მიმართა, დაინტერესდეს პარტია „კონსერვატიულ მოძრაობის“ სასარგებლოდ კონსტანტინე მორგოშიას მიერ სავარაუდოდ განხორციელებული შემოწირულებით. პარტიის დაფუძნების დღიდან, მორგოშია თავს პარტიის დამფინანსებლად აცხადებს, თუმცა ოფიციალური მონაცემებით ეს არ დასტურდება.

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი სახელმწიფო აუდიტის სამსახურს მიმართავს, მაღალი საჯარო ინტერესიდან გამომდინარე, მოგვაწოდოს ინფორმაცია იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში უკვე დაწყებულია წარმოება „კონსერვატიული მოძრაობის“ უკანონო ფინანსური საქმიანობის შესახებ.

DRI-ის მიერ წამოწეული პრობლემები აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშში მოხვდა

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა საქართველოში ადამიანის უფლებების შესახებ 2021 წლის ანგარიში გამოაქვეყნა. ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ

მომზადებული ნაწილში ხაზგასმულია დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის (DRI)-ის მიერ წამოწეული პრობლემები.

ანგარიშში ნახსენებია სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო შსს მინისტრის ავტომობილზე თავდასხმის ბრალდებით დაკავებული 30 წლის ინალ ჯაბიევის შესახებ, რომელიც რამდენიმე დღიანი დაკითხვის შემდეგ, 2020 წლის 28 აგვისტოს ცხინვალის წინასწარი დაკავების იზოლატორში გარდაიცვალა. ინალ ჯაბიევი სავარაუდოდ წამების და არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლი გახდა, რამაც მისი სიკვდილი გამოიწვია.

სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ მომზადებულ ანგარიშში ასევე ყურადღებაა გამახვილებული „ოჯახის გაერთიანების“ პროგრამის შესახებ, რომელსაც დე-ფაქტო სამხრეთ ოსეთის მთავრობა ადგილობრივ მოსახლეობაზე ზეწოლის იარაღად იყენებდა. პროგრამა ახალგორში მაცხოვრებლების საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე საცხოვრებლად დაბრუნებას გულისხმობდა.

DRI საპარლამენტო უმრავლესობის საკანონმდებლო ინიციატივას ტოტალური კონტროლის დაკანონების მცდელობად აფასებს

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი ეხმიანება საქართველოს პარლამენტში, მმართველი პოლიტიკური გუნდის წევრების ინიცირებულ კანონპროექტს, რომლის მიხედვითაც, ფარული საგამომიებო მოქმედების ჩატარების მაქსიმალური ვადები იზრდება და კონკრეტული მუხლებიდან გამომდინარე შესაძლოა, განუსაზღვრელი დროით გაგრძელდეს. დღეს მოქმედი რედაქციით, ფარული საგამომიებო მოქმედების ჩატარების მაქსიმალური ვადა 6 თვეა.

სავარაუდო უკანონო ფარული მიყურადება და თვალთვალი, წლების განმავლობაში დამკვიდრებულ მანკიერ პრაქტიკას წარმოადგენს. ნაცვლად სახელმწიფოს მხრიდან, მსგავსი დანაშაულებრივი ფაქტების ეფექტიანად, სწრაფად გამოძიებისა და საზედამხედველო მექანიზმების გამოყენებისა, ადამიანის პირად სივრცეში უკონტროლო ჩარევა ლეგიტიმური ხდება.

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი მოუწოდებს საქართველოს პარლამენტს, არ დაუშვას ინიცირებული კანონის პროექტის მიღება და ამით, ადამიანის პირადი ცხოვრების ხელყოფის, მასთან ერთად კი კონსტიტუციით გარანტირებული სხვა უფლებების უგულებელყოფის დაკანონება.

ე.წ. სტენსილების საქმეზე DRI შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართავს

მედია საშუალებებით გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სხვადასხვა შენობებზე გამოსახული სტენსილების შესრულების ფაქტზე, შსს-მ ადმინისტრაციული წესით სამართალწარმოება დაიწყო.

მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით, დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტმა წერილობით მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს და მოითხოვა ინფორმაცია:

რა საგამომიებო მოქმედებები ჩაატარა შსს-მ, რამაც დანაშაულის ნიშნების არსებობა გამორიცხა.

დაიწყო თუ არა ე.წ. სტენსილების საქმეზე ადმინისტრაციული სამართალწარმოების პროცედურა. იმ შემთხვევაში თუ დაიწყო, რამდენი პირის მიმართ და რა სამართლებრივი საფუძვლებით

მედით გავრცელებული ინფორმაციით, რუსეთის ფედერაციის მოქალაქე გიორგი გიგოლაშვილი აცხადებდა, რომ მან მხოლოდ ერთი სტენსილი შეასრულა. მოიძია თუ არა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ, ვინ შეასრულა დანარჩენი გამოსახულებები.

DRI-ის კოალიციური საქმიანობა

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი აქტიურად თანამშრომლობს სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან. აპრილში DRI-ის ინიციატივით და აქტიური მონაწილეობით გავრცელდა კოალიციის [განცხადება](#) სასამართლო რეფორმების შეფასების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის საქმიანობის შესახებ.

კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“ შეეხმიანა სასამართლოს რეფორმების თაობაზე საქართველოს პარლამენტში შექმნილი სამუშაო ჯგუფის მუშაობას. სამწუხაროა, რომ საზოგადოებისთვის დახურულია ინფორმაცია სამუშაო ჯგუფის ფორმატის შესახებ. მასში მიწვეულნი არ არიან მართლმსაჯულების საკითხებზე მომუშავე ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები, საერთაშორისო მისიები და სხვა დაინტერესებული ჯგუფები, შესაბამისად პროცესი არაინკლუზიურად მიმდინარეობს.

შესაბამისად, კოალიცია მოუწოდა საქართველოს პარლამენტს:

რეფორმების შეფასებისას იყოს თანმიმდევრული. პროცესი ინკლუზიურ, მრავალპარტიულ და მაქსიმალურად საჯარო გარემოში წარმართოს. ყველა აქტორს ჰქონდეს შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღოს სასამართლო სისტემაში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების

დაიდენტიფიცირებასა და მისი გადაჭრის გზების მოძიებაში. სწორედ ამგვარი პროცესით შემუშავებულ დასკვნას უნდა დააფუძნოს პარლამენტმა შემდგომი რეფორმის კონცეფცია.

განახორციელოს მართლმსაჯულების ფუნდამენტური რეფორმა. ამ პროცესში გაითვალისწინოს სასამართლო სისტემაში არსებული ე.წ. კლანის გავლენები და არ იყოს ორიენტირებული კანონმდებლობის მხოლოდ პროცედურულ დახვეწაზე.

კონტაქტი

მისამართი
თბილისი, 0160 პეკინის ქ. 34 / ყაზბეგის გამზ. 2 ა, ბიზნეს-ცენტრი საბურთალო,
მესამე სართული

ტელეფონი
(+995) 32 237 52 28

Web
www.democracyresearch.org

ელ.ფოსტა
info@democracyresearch.org